ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№10
(გაერთიანებული - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო და ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებთან)

2025 წელი; 12 თებერვალი, 12:00 სთ;

ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)
მარიამ გრიგოლიშვილი
ცოტნე ჩიქვინიძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ავთანდილ ცინცაძე
ალექსანდრე ასათიანი
კახაბერ ლაბუჩიძე
გიორგი გვენეტაძე

მოწვეული პირები:

გიორგი ხვედელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო ვარდოსანიძე
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის შიდა აუდიტის 2025 წლის ანგარიში;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. გიორგი ხვედელიძემ კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის (შემდგომში - „საქალაქო სამსახური“) შიდა აუდიტის 2025 წლის ანგარიში (შემდგომში - „ანგარიში“),** რომელიც **„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად,** მოიცავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 23 დეკემბრის N1-626 ბრძანებით დამტკიცებული, **შიდა აუდიტის 2025 წლის გეგმის შესაბამისად განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმებების, შიდა აუდიტის ობიექტების მიმართ გაცემული რეკომენდაციებისა და მათი შესრულების მონიტორინგის შესახებ ინფორმაციას,** ასევე წინადადებებს შიდა აუდიტის სუბიექტის განვითარებისა და მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ და სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებს.

ანგარიშის ძირითადი ასპექტების მიმოხილვამდე, მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა საქალაქო სამსახურის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებზე და აღნიშნა, რომ შიდა აუდიტორული შემოწმების ფარგლებში, შიდა აუდიტის ჯგუფის წევრთა უფლებამოსილებები განსაზღვრულია საქალაქო სამსახურის დებულებით, რომელთა მიერ შემოწმების ჩატარების შემდეგ შედგენილი შემოწმების ანგარიშის პროექტი ეგზავნება შიდა აუდიტის ობიექტს და მიეცემა მოსაზრების წარმოდგენის შესაძლებლობა, რაც შემდგომში განხილული იქნება საბოლოო ანგარიშის დამტკიცებისას. თითოეული ანგარიში შესაბამის რეკომენდაციებთან ერთად ეგზავნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

მომხსენებლის მითითებით, შიდა აუდიტის 2025 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში შემავალი ათი დაწესებულების სისტემური/შესაბამისობის/ეფექტიანობის აუდიტი, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 4 შემოწმება, მათ შორის 1 შიდა აუდიტორული შემოწმება (ა(ა)იპ „პანტომიმის სახელმწიფო თეატრის“ შესაბამისობის აუდიტი) განხორციელდა შიდა აუდიტის 2024 წლის გეგმის ფარგლებში.

გიორგი ხვედელიძის განმარტებით, საანგარიშო წლის განმავლობაში, შიდა აუდიტორული შემოწმებები ჩატარდა: ა(ა)იპ „პანტომიმის სახელმწიფო თეატრში“; სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოში; შპს „თბილსერვის ჯგუფსა“ და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში“. ვინაიდან, 2025 წლის 2 ივლისს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“, რომლითაც შეიცვალა სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს როლი უმეთვალყურეო ცხოველების პოპულაციის მართვის საკითხებში, აღნიშნულ ობიექტში აუდიტორული შემოწმება დასრულდა წინასწარი შესწავლის მემორანდუმით, ხოლო სხვა ობიექტების მიმართ გაცემულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა შესრულების მონიტორინგი გათვალისწინებულია საქალაქო სამსახურის შიდა აუდიტის 2026 წლის გეგმით.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ცალკეულ შემთხვევებში, ვინაიდან საქალაქო სამსახურის მიერ სხვადასხვა საკითხის შესწავლის/შემოწმების პროცესში გამოკვეთილ იქნა სავარაუდო დანაშაულის ნიშნები, დოკუმენტების შემოწმების მასალები გადაგზავნილ იქნა საქართველოს პროკურატურაში/საგამოძიებო ორგანოებში.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მერიის სისტემის ფარგლებში დისციპლინური საქმის წარმოებების ჩატარების შედეგად, დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომა იქნა დაკისრებული 20 პირის მიმართ.

გიორგი ხვედელიძემ ყურადღება გაამახვილა საქალაქო სამსახურის საქმიანობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმართულებაზე, რომელიც გულისხმობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში ნებართვის გაცემის პროცედურებზე მიმდინარე მონიტორინგისა და შემდგომი კონტროლის ღონისძიებების განხორციელებას.

მომხსენებლის მითითებით, საანგარიშო პერიოდში, „მიმდინარე მონიტორინგის" ფარგლებში, საქალაქო სამსახურმა განახორციელა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში შესული განაცხადების შერჩევითი შესწავლა და პრევენციული ღონისძიებების გატარება, რომელთა საფუძველზეც 2025 წელს გამოვლენილ იქნა 145 შემთხვევა და გაიცა შესაბამისი მითითებები, რომლის შესაბამისადაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის 74 ობიექტს დაეკისრა ჯარიმა 1 475 000 ლარის ოდენობით, საიდანაც ბიუჯეტში გადახდილია 1 284 000 ლარი.

მომხსენებელმა ასევე ხაზი გაუსვა იმასაც, რომ 2025 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი განხორციელდება 2026 წელს, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია 3 ორგანიზაციის შემოწმება; კერძოდ, ადგილზე გადამოწმდება რეკომენდაციების მიმდინარეობის შესრულება და მომზადდება შესაბამისი ანგარიშები შესრულების სტატუსის შესახებ.

მოხსენების მიწურულს, გიორგი ხვედელიძემ საქალაქო სამსახურის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ დებულებით მინიჭებული უფლებამოსილებების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, 2026 წელს საქალაქო სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების საშტატო ერთეულების (5 ერთეული) რაოდენობა გაიზარდოს მინიმუმ 8 ერთეულამდე და განხორციელდეს აუდიტორთა თანამდებობრივი რანგირება. გარდა ამისა, მიმდინარე წელს დაგეგმილია აუდიტორების სასერტიფიკაციო პროგრამით გადამზადება.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ დაინტერესება გამოხატა შიდა აუდიტის 2025 წლის გეგმის სრულად შესრულების ხელშემშლელი გარემოებების, გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ეფექტიანობის შესახებ.

გიორგი ხვედელიძის განმარტებით, შიდა აუდიტის 2025 წლის გეგმის შეუსრულებლობა განპირობებულ იქნა განხორციელებული აუდიტორული შემოწმებების მასშტაბური და მოცულობითი ხასიათითა და საქალაქო სამსახურის კადრების სიმცირით.

რაც შეეხება რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ეფექტიანობის საკითხს, როგორც გიორგი ხვედელიძემ აღნიშნა, 2025 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით, 2026 წელს განხორციელდება აუდიტის ობიექტებში ვიზიტი და ადგილზე გადამოწმდება გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი. თუ გამოიკვეთება, რომ ობიექტის მიერ იქნა შესრულებული რეკომენდაცია, აღნიშნული საქმე გადაეცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას, რომელიც განახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ცნობად მიიღეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის შიდა აუდიტის 2025 წლის ანგარიში.

მოისმინეს:

2. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული, **რიგით მეორე საკითხი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის თაობაზე.**

კომისიის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე წევრებს შეახსენა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 23-ე მუხლით განსაზღვრული პროცედურული ღონისძიება, რომლის თანახმადაც, კომისია კომისიის წევრთაგან განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს კომისიის თავმჯდომარის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ნინო ვარდოსანიძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად შესთავაზა ამავე კომისიის წევრის - ავთანდილ ცინცაძის კანდიდატურა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მხარი დაუჭირეს ამავე კომისიის წევრის - ავთანდილ ცინცაძის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად განსაზღვრის საკითხს.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ნინო ვარდოსანიძე**

სხდომის მდივანი **ნინო დანელიშვილი**